ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

შრომები
XVII-XVIII

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

PROCEEDINGS

XVII-XVIII

Publishing House “Meridiani”
Tbilisi, 2019

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

შრომები

XVII-XVIII

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, 2019

მთავარი რედაქტორი ოთარ ჟორდანია
რედაქტორები: თემურ ჩილაჩავა, მერი გაბედავა, ნონა (ნაზი) უშვერიძე

პასუხისმგებელი მდივანი: ირმა ზაქარაია

სარედაქციო საბჭო

მარია კორნელია ბარლიბა, რუმინეთი *(კულტუროლოგია)*, **ბადრი გოგია, საფრანგეთი** *(ისტორია)*, **ტანია კაპიკი, საბერძნეთი** *(ტურიზმი)*, **ანზორ მიქაია, აშშ** *(ქიმია)*, **ჰენრიკ პაპროცკი, პოლონეთი** *(თეოლოგია)*, **ლიუბოვ სოლოვიოვა, რუსეთი** *(ეთნოლოგია)*, **დავით ყოლბაია, პოლონეთი** *(ისტორია)*, **მარია კონიუშკევიჩი, ბელორუსი** *(ფილოლოგია)*.

სარედაქციო კოლეგია

ქიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ზოია ადამია, დიანა ალანია, ეკატერინე ბაკარაძე, მერი გაბედავა, ნუგზარ ებანოიძე, ეკა ვარდოშვილი, ანზორ თოთაძე, გუჩა კვარაცხელია, მედეა კვარაცხელია, პაატა კოღუაშვილი, მაია მარღანია, ანტონინა მსხილაძე, ნოდარ ნათაძე, ქეთევან პავლიაშვილი, ავთანდილ სილაგაძე, ნონა (ნაზი) უშვერიძე, გულნარა ქარჩავა, მალხაზ ღვინჯილია, მანანა შელია, ვაჟა შენგელია, თემურ ჩილაჩავა, ნოდარ ჩხარტიშვილი, გივი ცინცაძე, მარატ ციცქიშვილი, მინედა ჭანტურია, ნოდარ ჭითანავა, გულნაზ ხუხუა, მარინა ჯაიანი, ლილიანა ჯანაშია, ლევან ჯინჯიხაძე, ჯემალ ჯინჯიხაძე.

Editor-in-Chief: **Otar Zhordania**

Editors: **Temur Chilachava, Meri Gabedava, Nona (Nazi) Ushveridze**

Executive Secretarie: **Irma Zakaraia**

EDITORIAL COUNCIL

Maria Cornelia Barliba, Romania *(Culture Studies)*, **Badri Gogia, France** *(History)*, **Tania Kapiki, Greece** *(Tourism)*, **David Kolbaia, Poland** *(History)*, **Anzor Mikaia, USA** *(Chemistry)*, **Henrik Paprotsky, Poland** *(Theology)*, **Lubov Soloviova, Russia** *(Ethnology)*, **Sergi Volkov, Ukraine** *(Chemistry)*, **Maria Koniushkevich, Belorus** *(Philology)*.

EDITORIAL BOARD

Metropolitan Daniel (Datuashvili) of Chiatura and Sachkhere Eparchy, Zoia Adamia, Diana Alania, Ekaterine Bakaradze, Meri Gabedava, Mineda Chanturia, Temur Chilachava, Nodar Chitanava, Nodar Chkhartishvili, Nugzar Ebanoidze, Malkhaz Ghvinjilia, Marina Jaiani, Liliana Janashia, Jemal Jinjikhadze, Levan Jinjikhadze, Gulnara Karchava, Gulnaz Kukhua, Gucha Kvaratskhelia, Medea Kvaratskhelia, Paata Koghuashvili, Maia Marghania, Antonina Mskhiladze, Nodar Natadze, Ketevan Pavliashvili, Avtandil Silagadze, Manana Shelia, Vazha Shengelia, Anzor Totadze, Givi Tsintsadze, Marat Tsitskishvili, Nona (Nazi) Ushveridze, Eka Vardoshvili.

მისამართი: ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, 0186, საქართველო, თბილისი, მ. თამარაშვილის ქ., 15ა.

Address: Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, 15a T amarashvili st. 0186, Tbilisi, Georgia.

www .taas.ge; tskhumabkhazianacademy@gmail.com; T el. 2 18 39 42

© **ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია**

© Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

კრებული დაიბეჭდა აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსებით.
This Volume of the Proceedings was Published under the framework of Supporting Programme for Scientists from Abkhazia.

პროექტის ხელმძღვანელი: ლევან ჯინჯიხაძე
Projet Manager: Levan Jinjikhadze

ISSN 2233-3363

უაკ (UDC) 908(479.224)
ც-998

პოლიტიკის მეცნიერებები
POLITICAL SCIENCES

ალექსანდრე რუსეცკი

აფხაზეთის კონფლიქტი აფხაზეთის კვლევების (აფხაზეთმცოდნეობის) კონტექსტში

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკური კონფლიქტებისა და მშვიდობის მშენებლობის ინსტიტუტმა

აბსტრაქტი

სტატიაში „აფხაზეთის კონფლიქტი აფხაზეთის კვლევების (აფხაზეთმცოდნეობის) კონტექსტში“ წარმოდგენილია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის და შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის დოქტორანტთა მხარდაჭერი პროგრამის ჩარჩოში ჩატარებული კვლევების შედეგები (საგრანტო ხელშეკრულება NN-18-1147). ფონდმა, ქართველოლოგიური კვლევების ჩარჩოში მხარი დაუჭირა სადისერტაციო ნაშრომს — „აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის ინტერდისციპლინური შედარებითი ანალიზი ინოვაციური 4D-RAV-17 მეთოდით“. ეს მეთოდი წარმოადგენს ჰოლისტური (არარედუქციონისტული) სამეცნიერო დიაგნოსტიკის, ანალიზის, სინთეზის და შეფასების ტექნიკების ერთობლიობას.

სტატიაში აფხაზეთის კონფლიქტი პირველად განიხილება როგორც აფხაზეთის კვლევების (აფხაზეთმცოდნეობის) საგანი. ნაშრომში პირველადაა გამიჯნული აფხაზეთთან მიმართებაში არსებული კვლევების სამი იერარქიული დონე:

1. აფხაზიოლოგია (აფხაზეთმცოდნეობა, აფხაზეთის კვლევები);
2. აფხაზოლოგია (აფხაზთამცოდნეობა, აფხაზთა კვლევები);
3. აფსუალოგია (აფსუათმცოდნეობა, აფსუათა კვლევები).

აფსუათა კვლევები განიხილება როგორც აფხაზთა კვლევების ქვესისტემა, ხოლო აფხაზთა კვლევები, როგორც აფხაზეთის კვლევების ქვესისტემა.

აფსუა განხილულია როგორც აფხაზთა ქვესისტემა, ანუ როგორც ეთნოსი, რომელიც ავსებს დემოსს (პოლიეთნოსს).

აფხაზეთის კონფლიქტის გამოწვევის და მოუგვარებლობის ერთერთ მიზეზად წარმოდგენილია რედუქციონისტული ეთნოცენტრიზმი, რომელსაც დაჰყავს აფხაზეთმცოდნეობა აფსუალოგიამდე. ეს იწვევს კონფლიქტის აღქმის დეფორმაციას, რის შედეგად რთულდება კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია.

სტატიაში წარმოდგენილია აფხაზეთმცოდნეობის სპეციალისტთა შორის არსებული პრობლემები და ასევე მათი თანამშრომლობის ისეთი

შესაძლებლობები, როგორიცაა აფხაზეთმცოდნეობის კვლევების საერთაშორისო ცენტრის დაარსების და შესაბამისი საერთაშორისო ჟურნალის („აფხაზეთმცოდენობა“) გამოცემის იდეა.

აფხაზეთის მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების პოლიტიკური განწყობები

პოლიტიკური პროცესების მონაწილე სუბიექტები სხვადასხვანაირად აღიქვამენ ცნება „აფხაზეთს“. მათთვის ამ ტერმინის დენოტაცია, ანუ მისი პირველადი შინაარსი და მნიშვნელობა განსხვავებულია. ასევე განსხვავებულია მათთვის აფხაზეთის მომავლის ხედვა.

- აფსუათა სეცესიონისტურად განწყობილი ნაწილისათვის „აფხაზეთი“ და „აფსნი“ არის ერთი და იგივე. სტრატეგიაში ისინი მიისწრაფიან იმისკენ, რომ „აფხაზეთი“ გახდეს „აფსნი“, რაც გულისხმობს მთელი სივრცის აფსუათა კულტურის მატარებელი ადამიანების სიმრავლით შევსებას. ეს არის აფსუათა ეთნონაციონალისტური პროექტის შინაარსი. ანუ, ესაა ის მაგალითი, როდესაც „ნაწილს“ აქვს სურვილი რომ გახდეს „მთელი“. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, რუსეთის ფედერაციამ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ხოლო ბოლო წლების განმავლობაში სირიის კონფლიქტის შედეგად მოხდა ამ ფრთის გაძლიერება და დევნილების გადმოსახლება. გარდა ამისა, სირიის ფაქტიურმა ხელისუფლებამ, ბაშარ ასადის სახით, სცნო აფხაზეთის დამოუკიდებლობა.
- საქართველოს მთლიანობის მომხრეებისთვის (იუნიონისტებისათვის), „აფხაზეთი“, საქართველოს განუყოფელი ნაწილი და ერთ-ერთი ისტორიული პროვინციაა. ამ პოზიციის მომხრეების უმრავლესობა ლოიალურად არის განწყობილი აფსუების მიმართ. ისინი თვლიან, რომ აფსუებიც ძმები არიან, მაგრამ უშვებენ შეცდომას და ასრულებენ რუსეთის გეგმებს. მათი რადიკალური ნაწილი აიგივებს აფსუებს აფხაზებთან და ხედავს მათში მტრებს. ამის ერთ-ერთი დასტურია, 2008 წლის აგვისტოს ომამდე საქართველოს ჯარში „პოპულარული“ მდაბიო დონის სიმღერა – „ადე, ბიჭო მალხაზი, კარს მოადგა აფხაზი“...
- აფხაზეთის მოსახლების მნიშვნელოვანი ნაწილი (რუსეთზე ორიენტირებული ირრედენტისტები) მიიჩნევს, რომ დღევანდელი აფხაზეთი უნდა იყოს კრასნოდარის მხარის ნაწილი. ეს დერჟავნიკული პოლიტიკა გულისხმობს ამ ტერიტორიის „სოჭიზაციას“. არაა გამორიცხული რომ მოხდეს აფხაზეთის გამსხვილება ადლერი-სოჭის მიერთებით და რუსიფიკაციის პროცესის დაჩქარება; მეორე სტრატეგიით, ახალი შიდა კონფლიქტის პროვოცირება და ტერიტორიიდან დარჩენილი არასასურველი მოსახლეობის განდევნა. ამის შემდეგ კი ამ ტერიტორიის მიერთება.

- აფხაზეთის სომხური მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის, აფხაზეთი პან-სომხური შავიზღვისპირეთის კომპონენტია. ისტორიის ამ ეტაპზე ისინი კმაყოფილდებიან რუსეთის პროვინციის პირობებზე და აძლიერებენ ამით წინა ჯგუფს. მიუხედავად ამისა, მათ აქვთ ღრმა კონფლიქტი რუსულენოვანი მოსახლების იმ ნაწილთან, რომელიც წარმოადგენილია, ძირითადად, ეთნიკური რუსებით. სომხეთის პოლიტიკის პრიორიტეტია – რუსეთის მეშვეობით დაიყვანოს მინიმუმამდე საქართველოს და თურქეთის ზეგავლენა აფხაზეთზე და დაამყაროს ჯერ არაფორმალური, ხოლო სტრატეგიაში – ფორმალური კონტროლი აფხაზეთის მთელ ისტორიულ ტერიტორიაზე.
- თურქეთის პოლიტიკის მომხრეებისთვის აფხაზეთი განიხილება როგორც თურქეთის პროვინცია, რომელშიც იქნება დომინანტი ისლამის მიმდევართა კულტურა. ეს პროექტი გულისხმობს „მუხაჯირების“ დაბრუნებას და განიხილავს ასევე სოხუმს, როგორც კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ცენტრს. მათი სტრატეგიული ამოცანაა აფხაზეთის სრული დექრისტიანიზაცია – ქართველების, სომხების, ბერძნების და რუსების მოცილების გზით.

ეთნოცენტრისტული რედუქციონიზმი

აფხაზეთის კონფლიქტის **კომპლექსური სისტემის** მოუგვარებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს, სხვა მიზეზებთან ერთად, წარმოადგენს მისი **არასისტემური, რედუქციონისტული აღქმა, რომელიც ამახინჯებს მის ერთიან სურათს.**

მე-XIX საუკუნიდან შეიქმნა აღწერის დეფორმირებული ენის სტრუქტურა. ამ დეფორმაციამ **გამოიწვია** „აფხაზეთის“ ირგვლივ მიმდინარე მოვლენების თვითნებური და მიზანმიმართული ინტერპრეტაციები. აღწერის პროცესში **მეცნიერულად არაგამართული** ტერმინების (უნებლიე ან მიზანდასახულმა) **გამოყენებამ** გამოიწვია ისეთი არეულობა, რომ რუსეთის ფედერაციის ეროვნებათა საბჭოს ყოფილი თავჯდომარის, მეცნიერებათა დოქტორის, ვალერი ტიშკოვის ინფორმაციით, ეს კონფლიქტი, მეცნიერ-კონფლიქტოლოგების დიდმა ფორუმმა ჰავაის კუნძულების ქალაქ კონში, ჯერ კიდევ 1990 წელს, შეაფასა როგორც „ფილოლოგიური კონფლიქტი“.

აფხაზეთის კონფლიქტის ქრონიკული მოუგვარებლობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ თვით აფხაზეთის კვლევების (აფხაზეთმცოდნეობის) რედუქციონისტული ხასიათი.

ეთნოცენტრირებული (აფსუაცენტრირებული) განწყობები ხელს უშლის კონფლიქტის სისტემის ადეკვატურ აღქმას. სახელდობრ, კვლევის ობიექტად აფხაზეთმცოდნეობის სხვადასხვა დისციპლინებში წარ-

მოდგენილია „აფსუათა ეთნოსი“, რაც წარმოადგენს აფხაზეთის დანარჩენი მოსახლეობის სრულ იგნორირებას და დისკრიმინაციას. ეს ნიშნავს აფხაზეთმცოდნეობის დაყვანას აფსუათმცოდნეობამდე.

აფხაზეთის მოსახლეობას და მის „პოლიტიკურ ნებას“ წარმოადგენს მხოლოდ მოსახლეობის სეცესიონისტურად განწყობილი ის ნაწილი, რომელსაც ხელოვნურად და ცინიკურად შეუქმნეს ილუზია, რომ ისინი წარმოადგენენ ერის შემკრებ და შემომქმედ ეთნოსს.

ამას ხელს უწყობს არა მხოლოდ რუსეთი, არამედ საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. ყველა ის აქტორი, რომელსაც სურს საქართველოს ზეგავლენის შემცირების ხარჯზე მოიპოვოს აფხაზეთზე ზეგავლენის შესაძლებლობა.

ამ დისკრიმნაციის გამოკვეთილ მაგალითს წარმოადგენს ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის, დანიის ლიბერალური პარტიის ყოფილი ლიდერის და დანიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ანდრეს ფოგ რასმუსენის სკანდალური განცხადება 2019 წლის 9 სექტემბერს მაკკეინის სახელობის ფონდის მიერ თბილისში ჩატარებულ კონფერენციაზე. დასავლელმა დიპლომატმა შესთავაზა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროექტის განხილვა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების გარეშე. ეს არის ამ რეგიონების მოსახლეობის დიდი ნაწილის (უნიონისტების) ინტერესების იგნორირება და მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დარღვევა. ამავე დროს ეს იყო კიდევ ერთი ნაბიჯი „დასავლელი პარტნიორების“ იმიჯის დისკრედიტაციისა საქართველოში. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ურჩევნია შეინარჩუნოს „ერთიანობა“ რუსეთის იმპერიის ჩარჩოში, ვიდრე ნაწილ-ნაწილ შევიდეს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში.

რეფლექსური აზროვნების ანალიტიკური და დიაგნოსტიკური შესაძლებლობები

აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის ანალიზისთვის აუცილებლად მიგვაჩნია რეფლექსიის კოგნიტური შესაძლებლობების გამოყენება.

რეფლექსია ეს არის ადამიანის ისეთი აზროვნების სტილი, რომელიც საშუალებას იძლევა, პიროვნებამ მოახდინოს თვით ცოდნის შინაარსის სიღრმისეული გააზრება, მისი ფორმების, სტრუქტურის და შექმნის გენეზისის წინაპირობების გაცნობიერება, მისი მოპოვების და დამუშავების მეთოდების კრიტიკული ანალიზი. რეფლექსია – ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების (ღირებულებების, ინტერესების, მოტივების, ემოციების, საქციელის) ცოდნისა და მდგომარეობის გაცნობიერებაა. (სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონი)

რეფლექსია წარმოადგენს ყველა იმ მკვლევრის იარაღს, ვისაც აქვს სურვილი შეიტანოს საკუთარი წვლილი იმ მოუგვარებელი პრობლემების მოგვარებაში, რომელიც არის ჩვენ გარშემო. რეფლექსიის გარეშე,

პოლიტიკურ თეორიაში შეუძლებელია ახალი კონცეფციების ან მოდელების შემოთავაზება. ამიტომ თავის თავში რეფლექსია წარმოადგენს არსებულის რევიზიას. ესაა მიმდინარეობა, რომელიც მოითხოვს რაიმე თეორიის, მოძღვრების რევიზიას (Chabashvili, 1989: 63-68).

ჩვენს შემთხვევაში ადგილი აქვს აფხაზეთის კონფლიქტის და ე.წ. სამშვიდობო პროცესის შესწავლის და არსებული ინტერპრეტაციების კრიტიკულ ანალიზსა და რევიზიას. კრიტიკული ანალიზის პროცესში შეკრებილი მონაცემების ინვენტარიზაციას, სინთეზირებას და მის საფუძველზე კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის კონცეპციის და შესაბამისი მოდელის შემოთავაზებას.

ასეთი ხედვის ჩამოყალიბების მიზეზს წარმოადგენს ვარაუდი, რომ აფხაზეთთან და აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში შექმნილი ცოდნის კაპიტალი (რომელიც მოითხოვს ინვენტარიაზაციას და შეფასებას) წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერებისათვის ღირებულ რესურს, მაგრამ, ამავე დროს სერიოზულ ხელშემშლელ პრობლემას. სახელდობრ, საუბარია კონფლიქტის სტრუქტურის დეფორმირებულ აღქმაზე, რომლის დამადასტურებელი ემპირიული მასალა შეგვიძლია უხვად ვიხილოთ სამეცნიერო ნაშრომებში, ნორმატიულ აქტებში, პუბლიკაციებში და პოლიტიკოსების სპიჩებში.

ბუნებრივია, რომ ამაზე, პირველ რიგში, პასუხისგებლები არიან მეცნიერები. მათი კომპეტენცია უნდა იყოს საკმარისი არა მხოლოდ იმისთვის, რომ პირადად არ დაუშვან მარტივი შეცდომები მოვლენის აღქმის და აღწერის პროცესში, არამედ არ დაუშვან არსებული მცდარი მოსაზრებების და კლიშეების მასიური ტირაჟირება. არ გამოვრიცხავთ, რომ ადგილი ჰქონდეს არა მხოლოდ ჩვეულებრივ შეცდომებს, არამედ გააზრებულ საინფორმაციო/ფსიქოლოგიურ აგრესიას, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზეთის კონფლიქტის არ მოგვარებას და მოითხოვს საგანგებო კვლევების ჩატარებასა და შესაბამის შეფასებას.

ამ „პარაზიტი“ ტერმინების და მიდგომების აღმოჩენის და ფიქსაციის მიზნით აუცილებელია წვდომა არსებულ სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურასთან და შესაბამის დოკუმენტებთან. მნიშვნელოვანია ასევე ინფორმაციის ფლობა იმ ადამიანების შესახებ, ვინც ამ მიმართულებით მუშაობდა და მუშაობს. საუბარია **აფხაზეთმცოდნეებზე ან აფხაზეთის კვლევების სპეციალისტებზე**, ანუ უნდა დაგვედგინა თუ **„ვინ არის ვინ“** აფხაზეთის კვლევებში. მოვიპოვეთ ინფორმაცია როგორც ცალკეულ მეცნიერებზე, ასევე ორგანიზაციებზე. ამ მიზნით ასევე დავიწყეთ აფხაზეთმცოდენობის დაარსების და განვითარების დინამიკის შესწავლა. ამ ინფორმაციის კონცენტრირება საჭიროა და ღირებული არა მხოლოდ ამ ნაშრომისთვის, არამედ მომავლი მკვლევარებისთვისაც. კვლევით დადგინდა, რომ მონაცემთა მსგავსი ერთიანი საინფორმაციო ბაზა დღეისთვის არ არსებობს.

ამ შემთხვევაში რეფლექსია წარმოადგენს იმ ცოდნის გააზრებას და შეფასებას, რომელიც არის შექმნილი საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთთან მიმართებაში, განსაკუთრებით კი იმ ცოდნის, რომელიც პირდა-

პირ ან ირიბად ეხება აფხაზეთის კონფლიქტს.

აფხაზეთმცოდენობა, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღი

აფხაზეთმცოდნეობა (**აფხაზეთის კვლევები**) – არის მეცნიერება, ანუ ინსტიტუციონალიზებული, მრავალსაფეხურიანი, ლოგიკურად დაკავშირებული გამონათქვამების სისტემა, რომელიც ობიექტური მეთოდებით ცოდნის აკუმულირება-დაგროვებას ახდენს აფხაზეთის შესახებ (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004).

ცოდნის აკუმულირება შეიძლება ხდებოდეს სხვადასხვა მოტივით. მათ შორის პოლიტიკურ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს ამ კვლევის ობიექტის შესახებ ისეთი ინფორმაციების ფლობა, რომელიც უზრუნველყოფს მის (ანუ აფხაზეთის) მართვას და კონტროლს. გამომდინარე აქედან, **აფხაზეთმცოდნეობა** წარმოადგენს პოლიტიკურ იარაღს და კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია (მეცნიერების ნებისმიერ ქვედარგში) შეიძლება იყოს გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისათვის. ვინც ამ იარაღს უკეთესად ფლობს, მას უფრო მეტი შანსი აქვს არსებულ ბრძოლაში გამარჯვების.

შესაბამისად, ადგილი უნდა ჰქონდეს ასევე ბრძოლას იარაღისთვის. **აფხაზეთმცოდნეობა**, როგორც იარაღი, შეიძლება გამოიყენო როგორც თავდაცვის, ისე თავდასხმის მიზნით და ამ იარაღს იყენებს კონფლიქტში ჩართული ყველა მხარე.

დღეს **აფხაზეთის** კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს აფხაზეთის კონფლიქტის მკვებავ არტერიას. იგი ხელს უწყობს კონფლიქტის ესკალაციას კონფლიქტში ჩართული სუბიექტების საინფორმაციო-ანალიტიკური შეიარაღების გზით.

აფხაზეთმცოდნეობა, როგორც კონფლიქტის ველი და ობიექტი

აფხაზეთის კვლევის სპეციალისტების (აფხაზეთმცოდნეების) სიმრავლე წარმოადგენს აფხაზეთის კონფლიქტის როგორც ესკალაციის, ასევე მოგვარების მკვებავ ძალას. მათი ნაშრომები ქმნიან რეალური თამაშის წესებს და განწყობებს. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ქვესისტემაში პროეცირებული კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია ზეგავლენას იქონიებს კონფლიქტის სრული სისტემის პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე.

მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, ტრანსპარენტულობის ხარისხის ზრდა და **აფხაზეთმცოდნეების** ჩართულობა სამშვიდობო პროცესის დიაგნოსტიკაში, ახალი პროცესის დაგეგმარებასა და განვითარებაში. მეცნიერების თანამშრომლობა მშვიდობისათვის წარმოადგენს აკადემიური, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო დიპლომატიის ფუძეს.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით ორი საუკუნის განმავლობაში კვლევები აქტიურად მიმდინარეობს, **აფხაზეთმცოდნეო-**

ბა, როგორც სამეცნიერო მრავალდისციპლინური მიმართულება, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების საწყის სტადიაზე იმყოფება.

აფხაზეთმცოდნეობა, აფხაზოლოგია და აფსუალოგია

მეცნიერების უმრავლესობა აფსუალოგიური ტიპის კვლევებს წარმოადგენს, როგორც აფხაზოლოგიურ კვლევებს და არა როგორც აფსუალოგიურ კვლევებს, რომლებიც აფხაზოლოგიური კვლევების ქვესისტემას შეადგენენ, არამედ ხდება, ფაქტობრივად, აფსუალოგიის და აფხაზოლოგიის გაიგივება.

უფრო მეტიც, **აფსუალოგიის და აფხაზეთმცოდნეობის გაიგივება** (ეს იგივეა, რომ ვაშლს დაარქვა ხილი. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვაშლი არაა ერთადერთი ხილი).

აფსუალოგია წარმოადგენს აფხაზოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ ამ ორი ცნების გაიგივება დაუშვებელია. ამ შეცდომას (სავარაუდოდ, მიზანდასახულად) უშვებდნენ და უშვებენ მკვლევრები ორი საუკუნის განმავლობაში. აქ უნდა აღვნიშნოთ, თუ ადამიანი არის აფსუოლოგი, ის ავტომატურად არის აფხაზოლოგი, მაგრამ ყველა აფხაზოლოგი აფსუოლოგი ვერ იქნება.

აფსუოლოგი იკვლევს აფსუათა ფენომენს, ხოლო აფახაზოლოგი –აფხაზეთის მოსახლეობის სრულ პალიტრას.

აფხაზოლოგია წარმოადგენს აფხაზეთმცოდნეობის ქვესისტემას გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთმცოდნეობა არის ინტერდისციპლინური სისტემა.

აფხაზეთმცოდნეების ნაწილი შეიძლება მიაკუთვნებდეს საკუთარ თავს ქართველოლოგიას, შეიძლება არ მიაკუთვნებდეს (დღეს ეს პოლიტიკური კონფლიქტის და იდენტობის პრობლემაა). მაგრამ **აფხაზეთმცოდნეობა** (ტერიტორიული არეალის მიხედვით), უდაოდ, წარმოადგენს კავკასიოლოგიური (Caucasian Study) და შავიზღვისპირეთის კვლევების (Black Sea Study) ქვესისტემას. ავტორების ნაწილი **აფხაზეთმცოდნეობას** მიაკუთვნებენ მხარეთმცოდნეობას. მათ შორის, ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს საქართველოს მხარეა, ნაწილი – რომ ეს რუსეთის მხარეა, სხვა ნაწილი კი თვლის რომ ეს თურქეთის პროვინციაა.

აფხაზეთმცოდნეობა – აფხაზეთის შესახებ კვლევას ნიშნავს. შესაბამისად, თუ რას იკვლევს იგი, დაკავშირებულია იმასთან, თუ რა ინტერესები დევს ამ კვლევის უკან და რა განწყობით ატარებს **მეცნიერი ამ კვლევას**. ამის დადგენა თავისთავად წარმოადგენს სამეცნიერო კვლევით ამოცანას. გამომდინარე აქედან, თვით **აფხაზეთმცოდნეობა** შეიძლება წარმოადგენდეს კონფლიქტის ველსაც და კონფლიქტის საგანსაც.

აფხაზეთმცოდნეობის ისტორიიდან

აფხაზეთის კვლევები ინტენსიურად დაიწყო XIX-XX სს. მე-XX საუკუნის I ნახევარში ნიკო მარი აქვეყნებს ნაშრომს „აფხაზები და აფხაზთამცოდნეობა“ (მარი, 1935: 162-186). მნიშვნელოვანია, რომ როგორც სხვა მეცნიერები, ისიც ფაქტობრივად აიგივებს ტერმინებს „აფსუა“ და „აფხაზი“. როგორც ვხედავთ, მარი გამოიყენებს ტერმინს „აფხაზთამცოდნეობა“ (абхазоведение) და არა „აფხაზეთმცოდნეობა“ (абхазиаведение). „აფხაზთამცოდნეობა“ **წარმოადგენს „აფხაზეთმცოდნეობის“ ქვესისტემას და იკვლევს აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფებს.**

ნიკო მარს შემოაქვს ტერმინი „გეო-ეთნიკური ერთეული“ და „ტომთა ლანდშფტი“ („ეთნიკური ლანდშაფტი“). ნ. მარი ცდილობს მონახოს კავშირი და შესაბამისობა აფსუათა „ეთნიკურ ლანდშფტსა“ და აფხაზეთის გეოგრაფიულ სივრცეს შორის და წარმოადგინოს აფხაზები (რეალურად კი მხოლოდ აფსუები), როგორც „გეო-ეთნიკური ერთეული“.

ნიკო მარი თავის კვლევებში კრიტიკულად აფასებდა იმ ფენომენს, რომ კავკასიოლოგიური კვლევები დაყვანილია, ძირითადად, არმენოლოგიურ და ქართველოლოგიურ კვლევებამდე და ცდილობდა გამოეკვეთა აფხაზოლოგიური მიმართულება როგორც დამოუკიდებელი მიმართულება. ასევე ნ.მარი თვლიდა, რომ საქართველოში უნდა დაარსებულიყო „კავკასიის უნივერსიტეტი“ და არა მხოლოდ ქართული უნივერსიტეტი. აფხაზთამცოდნეობაში მისი გააქტიურება „აძლიერებდა“ მის პოზიციას – ქართველოლოგიურ და არმენოლოგიურ კვლევებს ემატებოდა კიდევ ერთი მიმართულება (მარი, 1918: 1496-1516).

ნიკო მარის ინიციატივით იყო შექმნილი „საზოგადოებრივი მეცნიერებების აფხაზური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია“ («Библиография абхазской литературы по общественным наукам»). იგი (!) აღნიშნავს, რომ საუბარია, ძირითადად, რუსულენოვან ლიტერატურაზე, რომელიც შეეხება აფხაზეთს (მარი, 1935: 132). აფხაზთამცოდნეობას ანუ აბხაზოლოგიას, ნიკო მარი განმარტავს როგორც მეცნიერებას აფხაზი ხალხის შესახებ. აფხაზ ხალხში ის განიხილავს ე.წ. „აფხაზური ენის“ მატარებლებს, ანუ რეალობაში აფსუათა ტომს. დიდი მეცნიერი აღმოჩნდა რედუქციონისტული აზროვნების მძევალი, ანუ რეალურად ის ეყრდნობა არა აფხაზოლოგიას, არამედ აფსუალოგიას და მას წარმოადგენს როგორც აფხაზოლოგიას, რაც არის მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომა.

ნ. მარი აფხაზთმცოდნეობაში (აფხაზოლოგიაში), ხედავს აუცილებელ საფუძველს რათა მოხერხდეს შესაბამისი განათლების სისტემის აწყობა და ფართო მასების განათლება. რეალურად კი ის ცდილობს განავითაროს აფსუალოგია და ამით საფუძველს უყრის აფხაზოლოგიის და მთლიანად აფაზეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური სამეცნიერო სისტემის, ჰარმონიული განვითარების პროცესის ბლოკირებას.

მნიშვნელოვანია, რომ ნ. მარი თავის ნაშრომში აღწერს თვით ინსტიტუციონალურ პროცესს, რომელმაც ხელი შეუწყო „აფხაზთამოყვარ-

ულების“ (რეალურად კი აფსუაფილების) სამოქალაქო და სამეცნიერო გაერთიანებებს ამ იდეების გარშემო. აფხაზთამცოდნეობა ნიკო მარის მიხედვით, ფაქტობრივად, იყო ორიენტირებული ეთნიკურ და არა პოლიეთნიკურ ისტორიულ კულტურაზე.

როგორც მარის ნაშრომებიდან ჩანს, მას აფხაზეთი წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი პატარა, მაგრამ ხარისხობრივად მნიშვნელოვანი კუთხე (მხარე). გამომდინარე აქედან, იგი აფხაზეთს განიხილავდა რუსეთის მხარეთმცოდნეობის კვლევის ობიექტად, ლინგვო-ეთნოგრაფიული პრიზმით და, გასაგები მიზეზების გამო, უგულველყოფდა ეთნო-დემოგრაფიული და სოციალურ-პოლიტიკური ცვალებადობის რეტროსპექტიულ დინამიკას და **სრულ** ეთნოლოგიურ სურათს. ფაქტობრივად, მისი კვლევა გამოკვეთილად ატარებს უფრო აფსუოლოგიურ, ვიდრე აფხაზოლოგიურ ხასიათს.

მიუხედავად **გამოკვეთილი ეთნოცენტრისტული ხასიათის რედუქციონიზმისა, რომელიც წარმოდგენილია აფსუაცენტრიზმით, ნიკო მარი** თავის ნაშრომში **ახსენებს** „სოხუმის ჩრდილოეთით მცხოვრებ კუმარიტების ტომს“. ის არ მოიხსენიებს მათ როგორც აფსუებს, ან როგორც აფხაზებს, მაგრამ **აფიქსირებს ამით აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკურ ჰეტეროგენობას. იგი შემდგომში არ ავითარებს** თემას და რჩება კითხვა – თუ რა ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფს **მიაკუთვნებს იგი კუმარიტებს**. აღარაა საუბარი იგივე ჯიქებზე, სვანებზე და იმ სხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებზე, ვინც სახლობდა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ჩვენ **დღეს** აფხაზეთად მოვიხსენიებთ.

მიუხედავად იმ უდიდესი ღვაწლისა, რომელიც შემატა ნიკო მარის შრომებმა საქართველოს, ქართულ მეცნიერებას და კავკასიოლოგიას ზოგადად (ამას ხაზგასმით აღნიშნავენ – ი. ჯავახიშვილი, ა. წერეთელი ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე და სხვები) (Metreveli, 2016: 19), მისმა შრომებმა აფხაზეთის მიმართულებით ხელი შეუწყო აფხაზეთმცოდნეობის განვითარების რედუქციონისტულ პარადიგმას.

საიდუმლოებით არის აღსავსე ის ფაქტი, რომ იგი „აფხაზების“ კირილურ ანბანს ცვლის ლათინური ანბანით, რომელიც შესწორებების შეტანის შედეგად 12 წელი მოქმედებდა (1926-1938 წწ.), 1938 წელს კი ის ქართულმა ანბანმა შეცვალა. 1954 წელს, სტალინის და ბერიას გარდაცვალების შემდეგ, ასპარეზზე ბრუნდება კირილური ანბანი. ეს ძალიან საინტერესო ფაქტია, იმიტომ რომ არაა გამორიცხული, უახლოეს პერსპექტივაში, დღის წესრიგში დაბრუნდეს „აფხაზურის“ ლათინური ვარიანტი. ეს კი შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ნიკო მარი მხარს უჭერდა ამ ტერიტორიის ევროპეიზაციის სტრატეგიას, რაც შეიძლება იმ ისტორიული მომენტისთვის წარმოადგენდა კომპრომისს. ნიშანდობლივია, რომ „ლათინური“ (პროდასავლური ვექტორი) ერთვება უკვე 1926 წელს „კავკასიურ თამაშში“ და იწყებს ბრძოლას აფხაზეთისთვის. ეს ახლოსაა იმ პოლიტიკასთან, რომელსაც დღეს აწარმოებენ აფხაზეთში პროდასავლური ვექტორის ძალები. ამ პოლიტიკის ძირითადი არსია, აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილში გააძლიერონ პროდასავლური ორიენტაცია და

ამით დააბალანსონ რუსეთის ზეგავლენა. მიუხედავად იმისა, რომ ზედაპირული ანალიზის შედეგად ნ. მარის მოღვაწეობა ზოგი ექსპერტის მიერ ფასდება როგორც საქართველოს ინტერესებთან შეუთავსებელი, ეს ასე არაა. მიუხედავად ბევრი ტკივილისა, რაც მას მიაყენეს ქართული ნაციონალისტური სამეცნიერო ელიტის წარმომადგენლებმა, მიუხედავად იმისა, რომ ის იძულებული გახდა გადასულიყო ქართველოლოგიიდან არმენოლოგიური კვლევების მიმართულებაზე (სადაც ასევე ჰქონდა სერიოზული მიუღებლობის პრობლემები სომეხ ნაციონალისტ-მეცნიერებთან), მიუხედავად იმისა, რომ, ი. სტალინის მიხედვით, ნ. მარი იყო „არშემდგარი მარქსისტი", ეს პიროვნება, უდაოდ, იყო საქართველოს დიდი პატრიოტი, მაგრამ ქართული ეთნო-ნაციონალისტური სამეცნიერო დისკურსი მას სრულყოფილ ქართველად არ თვლიდა და დღესაც არ თვლის. ნ. მარის ბიოგრაფიის აღწერაში დომინირებს ტერმინთა ასეთი წყვილები – „მარი – ქართველებთან ერთად" „მარი და ქართული სამეცნიერო აზროვნება" და ა.შ. ავტობიოგრაფიაში თვით ნ. მარი წერს, რომ ერთ-ერთ ამხანაგთან ერთად, ჯერ კიდევ გიმნაზიაში, დაუფიცავთ, „სანამ არ გავანთავისუფლებთ საქართველოს, იარაღს არ დავყრით" (Metreveli, 2016: 11).

ამავე დროს ნათლად ჩანს, რომ ნიკო მარს ჰქონდა გააზრებული და ჩამოყალიბებული საქართველოს განვითარების კავკასიური განზომილება და საქართველოს განვითარების ევროპული განზომილება. იგი ცდილობდა დაენახა საქართველო და მისი კულტურა, უშუალოდ ქართული ენა, გლობალური სისტემების სხვადასხვა განზომილებაში და კონფიგურაციაში.

როგორც ლინგვისტისა და ისტორიკოსისთვის, რომელიც სიღრმისეულად იკვლევდა კოლხეთის ისტორიას, უყურადღებოდ არ დარჩებოდა ის ფაქტი, რომ კოლხური ეთნიკური ჯგუფებიდან ერთ-ერთი – **მართა** ტომი იყო. მიუხედავად შოტლანდიური წარმოშობისა, ნიკო მარს გაუჩნდებოდა ჰიპოთეტური ვერსია თავისი გვარის პროტოისტორიასთან დაკავშირებით. არაა გამორიცხული, რომ ეს იყო ერთ-ერთი მკვებავი ძალა მისი ლინგვისტური კვლევებისა და მცდელობა, მოენახა ახლო კავშირები კავკასიურ და დასავლეთ-ევროპულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შორის. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მას ძალიან კარგად ესმოდა, რომ აფხაზეთი არაა მონოეთნიკური წარმონაქმნი. მიუხედავად ამისა, მისი „აფსუაფილია" წარმოადგენს რეალურ ფაქტს და იწვევს ეჭვებს, რომ იგი მონაწილეობდა გარკვეული სოციალური პროექტის განხორციელებაში და საბოლოო ჯამში მისმა შემოქმედებამ (ამ მიმართულებით) მოახდინა აფხაზეთმცოდნეობის განვითარების დეფორმაცია და ბლოკირება. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ნიკო მარის დამსახურება არ იყო. ამ პროცესში, ისევე როგორც დღეს, ჩართული იყო მთელი **ქართული** „ბომონდი".

ფილოლოგიური ომი

ვინც გააკონტროლებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ საკომუნიკაციო ენის სტრუქტურას, ის გააკონტროელბდა ტერიტორიას. აი, ეს ფორმულა დაედო საფუძვლად აფხაზეთის გარშემო არსებულ ფილოლოგიურ დაპირისპირებას.

XIX-XX სს. კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენდა „აფხაზური დამწერლობის“ შექმნასთან დაკავშირებულ კვლევებს. თვით ეს კვლევები და დამწერლობა გახდა დაპირისპირების ერთ-ერთი საგანი რუს და ქართველ მეცნიერებს შორის. რუსეთის იმპერიის ინტერესების გამტარებლები ცდილობდნენ აფხაზეთი საკუთარი ზეგავლენის ქვეშ მოექციათ და ამისთვის აქტიურად იყენებდნენ „ფილოლოგიურ რესურსს“, ხოლო საქართელოს ინტელექტუალური ელიტა, მიუხედავად იმისა რომ თვით იმყოფებოდა რუსეთის ზეგავლენის ქვეშ, ცდილობდა შეენარჩუნებინა ენობრივი უპირატესობა და თვლიდა რომ **თუ** ე.წ. „აბხაზური ანბანი“ უნდა შექმნილიყო, **მისი ფუძე** ქართული დამწერლობის (გრაფიკის) მეშვეობით **უნდა ყოფილიყო**, გამომდინარე იქედან, რომ ისინი უკეთ გადმოგვცემენ ამ ენის ჟღერადობას. 157 წლის განმავლობაში აფხაზური ანბანი 4-ჯერ შეიცვალა:

- 1862-1926 წლები – კირილური დამწერლობის ანბანი (პეტრე უსლარი);
- 1926-1938 წლები – ლათინური დამწერლობის ანბანი (ნიკო მარი);
- 1938-1954 წლები – ქართული დამწერლობის ანბანი;
- 1954 წლიდან დღემდე – კირილური დამწერლობის ანბანი.

ოთხივე შემთხვევაში აფხაზური ენის საფუძველს წარმოადგენდა აფსუათა მონოეთნიკური ლინგვისტური რესურსი. **ქართველი მეცნიერები და საზოგადოება ამას შეეგუვნენ და მოერგნენ იმ ტერმინოლოგიას, რომელიც ჩრდილოეთიდან იყო ინიციირებული.** მაგალითად, ქართულ „ვიკიპედიაში“, **რომლითაც სარგებლობს ბევრი მკითხველი,** ჩვენ ვხვდებით შემდეგ ინფორმაციას: „პირველი მკვლევარი, რომელმაც შექმნა აფხაზური დამწერლობა (!), იყო რუსეთის არმიის გენერალი პეტრე უსლარი. მან 1862 წელს აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვის შედგენისას გამოიყენა რუსული ე. წ. კირილური ანბანის გრაფიკა მის მიერვე გამოგონილი ასო-ნიშნების დამატებით. სწორედ პ.უსლარის ამ ნაშრომით იწყება აფხაზური დამწერლობის ისტორია. ამის პარალელურად, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების დირექტორმა ივანე ბართლომეიმ აფხაზური ანბანის შესადგენად ქართული ასოების გრაფიკა გამოიყენა, როგორც ყველაზე შესაფერი აფხაზური ენისათვის, რაც აკლდა ის ასო-ბგერები მიუმატა და 1865 წელს გამოსცა „აფხაზური ანბანი“, თუმცა, ეს ანბანი, პოლიტიკური მოტივით, არ იქნა მიღებული, შედეგად უპირატესობა მიენიჭა უსლარისეულ ანბანს“. ვხედავთ, რომ აქ გამოყენებულია ტერმინები „აფხაზური დამწერლობა“, „აფხაზური ანბანი“...

მთავარი ამოცანა ხომ ლინგვისტური სეპარაცია იყო, ამიტომაც „აფხაზური **დამწერლობა**“ შეიქმნა არა როგორც პოლიეთნოგრაფიული წარმონაქმნი არამედ, როგორც მონოეთნოგრაფიული წარმონაქმნი და ეს გახდა საფუძველი მომავლაში ბევრი სხვა პრობლემის.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თვით პეტრე უსლარი წერდა: „დამოუკიდებელი ლიტერატურა აფხაზებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ და არც ექნებათ“; ასევე „კავკასიაში გავრცელებული, დამწერლობას მოკლებული ყველა ენისათვის ყველაზე კარგი და ყველაზე გამოსადეგი ქართული დამწერლობაა“ და „თუ ჩვენ ქართველებისაგან ვისესხებთ არა მარტო წერის სისტემას, არამედ ასოებსაც, მაშინ ჩვენდაუნებურად ხელს შევუწყობთ კავკასიაში არა მარტო ქართული ავტონომიის, არამედ აფხაზური ავტონომიის შექმნასაც“. აი, ამ ტექსტზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ აფხაზური (არა აფსუური) ავტონომიის შექმნას სჭირდებოდა არა ქართული, მაგრამ ადგილობრივი **ალტერნატიული კავკასიური** ენა. ეს იყო აუცილებელი პირობა რათა შექმნილიყო რუსეთის იმპერიის ინტერესების გამტარებელი გარნიზონული ხასიათის „აფხაზური ავტონომია“.

როგორც ვხედავთ, ამ ტექსტში მოიხსენიება ტერმინი „აფხაზური დამწერლობის ისტორია“. ეს ტერმინი არაა მართებული. თუ ვგულისხმობთ მხოლოდ აფსუათა დამწერლობას (**რომელიც მათი ენის საფუძველზეა შექმნილი),** მაშინ უნდა ვიხმაროთ „აფსუური დამწერლობის ისტორია“ (და უფრო ადრინდელი თურქულ/არაბული ისტორიული კვალიც უნდა გავითვალისწინოთ).

თუ ვგულისხმობთ აფხაზეთის ტერიტორიაზე რეტროსპექტივაში მოქმედ სხვადასხვა ენასა და დამწერლობებს, მაშინ უნდა წარმოვადგინოთ მთელი მათი თაიგული და არ დავიყვანოთ იგი მხოლოდ აფსუურ ენამდე.

აღსანიშნავია ასევე, რომ „აფსუური ენის“ კირილიცით შექმნა მიზნად ისახავდა, პირველ რიგში, აფსუების რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში ინტეგრაციას და ბიუროკრატიული პრობლემების გამარტივებას. ანბანი შეიქმნა კოლონიალიზაციის და ასიმილაციის პროცესის გასამარტივებლად და არანაირად არ ისახავდა მიზნად აფსუათა თემის კულტურულ განვითარებას. „აფსუათა ბირთვი“ უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც ის გრავიტაციული ძალა, რომელმაც მოიზიდა **რუსეთის** „აფხაზურ პროექტში“ აფხაზეთის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი, პირველ რიგში, მეგრელების გარკვეული ნაწილი.

ფაქტობრივად, დაიწყო რუსული აფხაზეთის ნაციონალური პროექტის შექმნის პროცესი და მასში მეცნიერები აქტიურად იყვნენ ჩართულები. ეს პროცესი გახდა პოლიტიკური დაპირისპირების მნიშვნელოვანი კერა და დღეს არსებული კონფლიქტის ერთ-ერთი საფუძველი. რუსეთის იმპერიას გააჩნდა და გააჩნია სერიოზული იდეოლოგიური უპირატესობა, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ის ხელს უწყობდა აფხაზეთში მართვადი ეთნო-ნაციონალისტური მოძრაობის შექმნის სტიმულირებას და კონტროლს. ამისთვის რუსეთი ცდილობდა გაეთანაბრებინა საქართ-

ველოს და აფხაზეთის პოლიტიკური რანგი. ამ პროცესმა **მორიგ** აპოგეუმს მიაღწია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ და გამოიხატა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაში.

საქართველო, ისტორიის ამ ეტაპზე, არ თავაზობდა აფხაზეთს თანაბარ და სიმეტრიულ ურთიერთობას და ათანაბრებდა მას საქართველოს სხვა კუთხეებთან. ქართველი პოლიტიკოსები აჟღერებდნენ „უმცროსი ძმის" კონცეფციას, რომელიც იმ საზოგადოებისთვის, ვინც უკვე „აფხაზად" თვლიდა თავს **(ან ვისაც აფხაზად თვლიდნენ),** იყო შეურაცხმყოფელი და მიუღებელი.

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ქართლ-კახეთის, იმერეთის, აფხაზეთის და სხვა წარმონაქმნების პოლიტიკური რანგები და გავლენები ერთიან სისტემაში არ იყო მუდმივი და იცვლებოდა.

ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან დეკემბრამდე აფხაზეთის ერთეული გამოყოფილი იყო საქართველოდან, ხოლო 1921 წლის დეკემბრიდან ის გახდა (ნაწილობრივად) საქართველოს ავტონომიური ერთეული. 1929 წლიდან მოხდა მხოლოდ გაგრის რაიონის დაბრუნება და საზღვარმა ფსოუზე გაიარა. **დასავლეთ აფხაზეთის დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩა.** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონს მინიჭებული ქონდა განსხვავებული ხარისხის პოლიტიკური რანგი. აფხაზეთი, ამ თვალსაზრისით, იყო პირველი რანგის რეგიონი. მას მოყვებოდა აჭარა. ასეთი ტიპის ასიმეტრიული დაყოფის ნაცვლად, მე-XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, **თბილისიდან რეგიონებისათვის** შეთავაზებული იყო პოლიტიკური მოწყობის ისეთი გათანაბრებული ვარიანტი, რომელიც იწვევდა რანგის დაქვეითებას. ბუნებრივია, ამან გამოიწვია სერიოზული გაღიზიანება და კონფრონტაცია. განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა საქართველოს უნიტარული მოწყობის მოდელები. ეს კონფრონტაცია კი მეტად მომგებიანი აღმოჩნდა, პირველ რიგში, გარე ძალებისათვის. **აფხაზეთში გავლენის სფეროებზე კონტროლი დაამყარა რუსეთმა. ამავე დროს გაძლიერდა პროთურქული და პროსომხური ზეგავლენის ძალები.**

საქართველოს და დასავლეთის პოლიტიკამ აფხაზეთში განიცადა სრული კრახი.

2008 წლის აგვისტოში, საქართველოს ხელისუფლების უნიათობის შედეგად, რუსეთის ფედერაციამ მოახერხა აფხაზეთში სამხედრო-პოლიტიკური რეინკარნაცია და მისი დამოუკიდებლობის დეკლარირება, რამაც აღადგინა, ფაქტობრივად, 1921 წლის მარტის მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით, მოხდა აფხაზეთის **რეოკუპაციის** ფაქტი.

სამწუხაროდ დღეს, აფხაზეთმცოდნეების დიდი ნაწილი წარმოადგენს ამ პოლიტიკური დაპირისპირების პალიტრას და ემსახურებიან, ძირითადად, ამ კონფლიქტის ესკალაციას და **არა მოგვარებას.**

დღის წესრიგში ისევ დგას საკითხი თუ **რამდენადაა** აფხაზური ის ენა, რომელსაც რუსი და ქართველი მეცნიერები (ერთობლივად) აფხაზურს უწოდებენ.

აფხაზეთის ენობრივი პოლიტიკის დაყვანა მხოლოდ ერთი ეთნოსის ენამდე აპრიორი ნიშნავდა ერთი ეთნოსის დომინირებას სხვა ეთნოსებზე, რაც, პირველ რიგში, გამოიხატა საკადრო პოლიტიკაში და დღესაც წარმოდგენილია აპარტეიდული ეთნოკრატიული რეჟიმით.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოხდა აფსუათა ენის გამოყენება იმპერიული პოლიტიკისთვის. რეალური საკომუნიკაციო ენა დარჩა რუსული. აფხაზური ენა **რუსულს** კონკურენციას ვერ გაუწევდა (განსხვავებით ქართული ენისგან). ამიტომ ამ ანბანის შექმნა ნიშნავდა ქართული ენის ალტერნატივის შექმნას აფხაზეთის ტერიტორიაზე. იგივე პოლიტიკას აწარმოებდა და აწარმოებს რუსეთი **დღეს** მეგრულ ენასთან მიმართებით.

მეორე ამოცანა, რომელიც უნდა გადაეწყვიტა ამ „ოპერაციას“, ეს იყო განდევნილი (ან თავისი ნებით თურქეთში გადასული) მუსლიმი მოსახლეობის („მახაჯირების“) ნათესავებისათვის გარკვეული „კომპენსაცია“. ისინი ვინც არ განიდევნა და დატოვეს, როგორც „ეთნოგრაფიული მასალა“, განწირულნი აღმოჩნდნენ, შეესრულებინათ ეს გეგმა.

მე-XX საუკუნის მიწურულს განმეორდა იგივე. ამჯერად „მახაჯიერებად“ შეგვიძლია მოვიხსენიოთ რუსეთის იმპერიისთვის იდეოლოგიურად მიუღებელი ქართულენოვანი ქრისტიანული მოსახლეობა და ყველა სხვა ადამიანი (უნიონისტი), რომელიც არ იყო გამოყოფის მომხრე. ***ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იქნებოდა შექმნილიყო აფხაზეთიდან დევნილი ადამიანების ერთიანი ძეგლი-მონუმენტი.***

იმ ეთნიკური წარმონაქმნისთვის, რომელიც დღესაც არის ძირითადი მატარებელი და დამცველი „აფხაზური“ ენობრივი (და არა მხოლოდ ენობრივი) კულტურის, თვით ტერმინი „აფხაზეთი“ არ წარმოადგენს ძირითად იდენტობას. ამიტომაცაა, რომ კონსტიტუციის დოკუმენტში ჩადებული იყო შემდეგი განმარტებითი ტექსტი – «Конституция Республики Абхазия (Апсны)». ამ მცირე დანამატში კარგად ჩანს საითაც არის მიმართული ამ ეთნიკური ჯგუფის რეალური და სასურველი იდენტობა, პოლიტიკური ამბიცია და სტრატეგიული მზერის ვექტორი. არ იქნება გასაკვირი, თუ ხვალ მოხდება ტერმინ აფხაზეთის ჩანაცვლება ისე, როგორც „მთიანი ყარაბაღი“ უკვე ჩაანაცვლეს „არცახით“. ეთნიკური ნაციონალიზმის მიზანს წარმოადგენს ფორმულის – „ნაწილი გახდეს მთელი“ – რეალიზაცია. ამ მიმართულებით **უკვე** მიღწეულია წარმატებები. ქართული ეთნიკური ჯგუფების **და, ზოგადად, გამოყოფის მოწინააღმდეგეების (უნიონისტების)** უმეტესი ნაწილი განდევნილია აფხაზეთიდან, დემოგრაფიული ბალანსი შეცვლილია. რეალურად ეს არის ყარაბაღის სცენარის აფხაზური ვარიანტი.

მიუხედავად **მორიგი** „ქირურგიული ოპერაციისა“, აფსუათა დემოგრაფიული მდგომარეობა განიცდის კრიზისს. ეთნიკური კონფლიქტი აფსუა-სომხებს, აფსუა-რუსებს და აფსუა-მეგრელებს შორის უკვე სახეზეა. და ამ კონფლიქტს კარგად იყენებს მოსკოვი, რათა არ მოხდეს აფხაზეთის ხელისუფლებაში სეპარატისტული ელიტის დომინირება. რუსეთს აქვს არა უსაფუძვლო შიში, რომ სეპარატისტები აქტიურად თანამშრომლობენ დასავლეთის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების და

თურქეთის სპეცსამსახურების წარმოადგენლებთან და მათ გააჩნიათ გააზრებული ისტორიული ანტიპათია იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც მოახდინა მათი წინაპრების მასიური დეპოროტაცია.

აფსუური და აფხაზური ნაციონალიზმი

ჩვენი აზრით, ტერმინი „აფხაზი“ პოლიეთნიკური შინაარსისაა და ნიშნავს მთლიანად დემოსს (ხალხს) და არა ცალკეულ ეთნოსს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხოლოდ აფსუებს ჩავთვლით აბორიგენულ მოსახლეობად (რაც საფუძველშივე არაა სწორი), არ შეიძლება მეცნიერული ინტერესი არ ვრცელდებოდეს, მაგალითად, აფხაზეთში სხვადასხვა ეპოქაში მაცხოვრებელ ბერძნებთან, „ლათინელებთან“, მესხებთან, სვანებთან და ა.შ.

მაგალითად, ამერიკის კვლევები **(American Studes)** ხომ არ გულისხმობს მხოლოდ **აბორიგენი ინდიელების კვლევას და არც უნდა გულისხმობდეს მხოლოდ აშშ-ის კვლევას?** ან **Russian Study** (რუსეთის კვლევები) ხომ არ გულისხმობს მხოლოდ ეთნიკურად რუსების კვლევას? ან Georgian Study არ უნდა იკვლევდეს საქართველოს ეთნოგრაფიულ მრავალფეროვნებას და მხოლოდ „გურულებზე“ **უნდა** გააკეთოს აქცენტი? ესეთი მიდგომა მეცნიერებაში წარმოადგენს დესტრუქციული რედუქციონიზმის გამოვლინებას.

გამომდინარე აქედან, შესაძლებელია დავაფიქსიროთ ორი ცნების არსებობის უფლება. ეს არის აფხაზური და აფსუური ნაციონალიზმი. **ეს ორი პროექტი წარმოადგენს მომავალი დაპირისპირების საფუძველს.** ამ ორ იდეოლოგიურ დაჯგეფებას შორის უკვე მიმდინარეობს კონფლიქტი. „აფხაზეთის“ ჩანაცვლება „აფსნით“, განსხვავებით ყარაბაღისაგან, ამ ეტაპზე არ ხდება. **„აფსნის“ პროექტის მომხრეები არ არიან ჯერ ამისთვის მზად.** აფსნი-ნაციონალისტის მიზანია – დამოუკიდებელი აფხაზეთი აფსუების დომინაციის ქვეშ. აფხაზი ნაციონალისტის მიზანიც დამოუკიდებლობაა, მაგრამ არა ცალკეული ეთნოსის დომინირებით, არამედ ძალაუფლების გადანაწილების გზით ეთნოპოლიტიკურ ელიტებს შორის.

აფხაზეთმცოდნეობა ჰოლიზმის და რედუქციონიზმის ჭრილში

აფხაზეთის კვლევების (აფხაზეთმცოდნეობის), როგორც სრულყოფილი სამეცნიერო მიმართულების, სისუსტეს წარმოადგენს თვით ამ მეცნიერების შემადგენელი კომპონენტების, შიგთავსის განსაზღვრა. გარდა პოლიტიკური განზომილებისა, ისევე როგორც სხვა სფეროებში, აფხაზეთმცოდნეობაშიც შეიძლება დავინახოთ რედუქციონისტული და ჰოლისტური მიდგომების ურთიერთდაპირისპირება. მეცნიერების ნაწილი გულისხმობს მხოლოდ ეთნოკულტურულ კვლევებს, ნაწილი კი უფრო ფართოდ უყურებს ამ საკითხს. ისინი თვლიან, რომ აფხაზეთის შესახებ კვლევები მეცნიერების ინტერდისციპლინური დარგია.

აფხაზოლოგის, თამარ გითოლენდიას აზრით, „აფხაზოლოგია კომპლექსური სამეცნიერო მიმდინარეობაა და მოიცავს ენათმეცნიერების, ეთნოლოგიის, ფოლკლორისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის, აფხაზეთის ისტორიის, არქეოლოგიის, კულტურისა და ანთროპოლოგიის კვლევას“ (Gitolendia, 2013).

მეცნიერი გაბედულად და სამართლიანად ცდილობს, გააფართოოს საზღვრები და აფსუალოგიური კვლევები სტრატეგიაში გახადოს აფხაზოლოგიური. როგორც ვხედავთ, ეს ჩამონათვალი მხოლოდ ნაწილია იმ მეცნიერებებისა, რომლებიც წარმოადგენენ **აფხაზიოლოგიის** საფუძველს. მათ რიგშია, ასევე, ეთნოფსიქოლოგია, ეთნოსოციოლოგია, კონფლიქტოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, პოლიტიკური ლინგვისტიკა, რელიგიათმცოდნეობა, მხარეთმცოდნეობა, ეკონომიკა, ეკოლოგია, სამართალი, პოლიტოლოგია, გეოპოლიტიკა და ა.შ. რედუქციონიზმის დომინირება წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას და კონფლიქტის მკვებავ ძალას. ამის შესახებ საინტერესო მოსაზრებები წარმოდგენილია ნაშრომში – გითოლედია თ. (2013), „აფხაზოლოგია თბილისის სამეცნიერო ცენტრებში“.

პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ველების ზეგავლენის ქვეშ ეს კონფლიქტი მწვავდება, ძლიერდება მისი განვითარების დესტრუქციული და კონფრონტაციული პარადიგმა. **აფხაზეთმცოდნეები** იმყოფებიან არსებული კონფლიქტების ზეგავლენის ქვეშ და ხშირად ემსახურებიან იმ ინტერესთა ჯგუფებს, რომლებთანაც აქვთ გაძლიერებული ეთნიკური თუ პოლიტიკური იდენტობა. მეცნიერებს შორის დაპირისპირება პროეცირდება ფართო საზოგადოებაზე და ღებულობს საკმაოდ მძიმე და არასასურველ განწყობას. განსაკუთრებით მძაფრდება ეს დაპირისპირება, როდესაც ამ პროცესში ერთვებიან ეთნო-ნაციონალური ელიტის ავტორიტეტული წარმომადგენლები. ამის მაგალითია ცნობილი **აფსუა**-აფხაზი მწერლის და პოეტის, ნელი ტარბას, წერილი, რომელშიც ის ხედავდა საფრთხეს ქართველი ინტელიგენციის (მეცნიერების) მხრიდან.[1]არსებობს ამის საპირისპირო მაგალითები და ალტერნატიული შეხედულებები.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ეთნო-ნაციონალურმა ზეგავლენამ გამოკვეთა **აფხაზეთმცოდნეობის** ისეთი ქვემიმართულებები (იდეოლოგიური პრო-მიმართულებები) როგორიცაა, ქართული აფხაზეთმცოდნეობა, აფსუათა აფხაზეთმცოდნეობა (არა აფსუალოგია), რუსული აფხაზეთმცოდნეობა, სომხური აფხაზეთმცოდნეობა, თურქული აფხაზეთმცოდნეობა და ა. შ. ყოველივე ამ **აფხაზიოლოგიას** ემსახურება „პერსონალური“ ენის (ტერმინების) სტრუქტურა. ერთი და იგივე მოვ-

[1] Все больше угнетают тяжелые мысли, что чем дальше, тем больше усиливаются необузданные страсти некоторой части грузинской интеллигенции (особенно ученых) в отношении к абхазам и Абхазии, что поперек их горла, как стал один раз как кость, так и застрял крепко абхазский вопрос, что усиливается все больше их желание еще и еще раз проехаться кровавым галопом по абхазским душам, чем дальше, тем больше ширится круг таких «наездников» и самое тревожное, в эту кровавую «джигитовку» вовлекли молодежь с отпущенными вожжами (Тарба, 1990).

ლენა არის დანახული სხვადასხვა მხრიდან და აღწერილი სხვადასხვა ტერმინის გამოყენებით.

აფხაზეთმცოდნეობა და სამშვიდობო პროცესი

აფხაზეთმცოდნეობას, როგორც მეცნიერებას, ასევე, გააჩნია „საერთო სტრატეგიულ მშვიდობაზე“ ორიენტაციის ძალაც, ანუ სამშვიდობო პროცესის სამეცნიერო უზრუნველყოფის **შესაძლებლობა და მისია.**

ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ და განვმარტოთ **აფხაზეთმცოდნეობის** სამშვიდობო მისია – სხვადასხვა მიმართულების კონფლიქტში ჩართულ მეცნიერების შრომათა გაერთიანება და ისეთი ინტელექტუალური პროდუქციის შექმნა, რომელიც ორიენტირებულია სრულიად აფხაზეთისა და აფხაზების (აფხაზეთელების) კეთილდღეობაზე.

აფხაზეთმცოდნეები არიან მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები და მათი კვლევის საგანს წარმოადგენს აფხაზეთი და მასთან დაკავშირებული პროცესები. აფხაზეთის კონფლიქტი, როგორც აფხაზეთის ფენომენთან მიმართებაში მიმდინარე პროცესი, ამ თვალსაზრისით, წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერების შესაძლებლობები არასაკმარისად იყო გამოყენებული ისეთი პრობლემის მართვაში, როგორიცაა **დღემდე** მოუგვარებელი აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემა. ეს კონფლიქტი ნამდვილად „იმსახურებს“ გახდეს აფხაზეთის კვლევების ერთ-ერთი მთავარი ობიექტი.

სიტუაციას ართულებს ის, რომ თვით **აფხაზეთმცოდნეობა** დღეს წარმოადგენს აფხაზეთის კონფლიქტის ერთ-ერთ არენას, რაც რეალური საფრთხეა სამშვიდობო პროცესისათვის.

ჰოლისტური კონფლიქტოლოგია და ჰოლისტური აფხაზეთმცოდნეობა

ჰოლისტური მიდგომა გულისხმობს, მოიცვას ყველა არსებული პოზიცია და, გამომდინარე აქედან, უნდა წარმოადგენდეს ჰოლისტური კონფლიქტოლოგიის რესურსს. ჰოლისტური კონფლიქტოლოგია, განსხვავებით რედუქციონისტური კონფლიქტოლოგიისგან, ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს ყველა მხარის პოზიცია და ინტერესი, სახელდობრ, შექმნას პირობები რედუქციონისტ-კონფლიქტოლოგთა ჩართულობისათვის სამშვიდობო პროცესის ახალ განზომილებაში. რედუქციონისტი-კონფლიქტოლოგი წარმოადგენს კონფლიქტის რომელიმე მხარეს და ეძებს არგუმენტებს, რათა გააძლიეროს ამ მხარის პოზიციები. ჰოლისტი-კონფლიქტოლოგი ცდილობს, ზეგავლენა იქონიოს პროცესის პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე, მაგალითად, მოახდინოს პოზიტიური ისტორიოგრაფიული კვლევების ნაკადის გაძლიერება (როგორც ნეგატიური ნაკადის კომპენსაციის პროცესი).

ჰოლისტური კონფლიქტოლოგია ცდილობს რედუქციონისტურ კვ-

ლევებს შორის არსებული კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას. ეს არის ახალი სამშვიდობო პროცესის „არქიტექტურისა“ და ახალი ხარისხის ინტელექტუალური პროდუქციის შექმნის შესაძლებლობა. ჰოლიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, კვლევაში აქტიურად გამოიყენება სინთეზის მეთოდი.

ბუნებრივია, ჰოლისტური **აფხაზეთმცოდნეობა** წარმოადგენს კვლევების ისეთ სისტემას, რომელიც ემსახურება სამშვიდობო პროცესს და, სახელდობრ, ამ პროცესში მეცნიერების ჩართულობას. თვით ამ კვლევების ტრანსპარენტულობის ხარისხის ზრდა, სავარაუდოდ, გამოიწვევს სისტემაში პოზიტიურ ცვალებადობას. ეს შეიძლება იყოს სამეცნიერო კვლევის კულტურის ახალ დონეზე გადასვლის შესაძლებლობა.

მაკრო დონეზე ინტელექტუალურ პროცესში ჩნდება „დამკვირვებელი“, რომელიც ახდენს ფიქსაციას, შეფასებას და ცდილობს, დაგვანახოს მეცნიერთა სხვადასხვა ჯგუფის პროდუქტის რეალისტური სურათი. ეს ამოცანა მინიმუმია. „დამკვირვებელი“ ხდება გარანტი პროცესის ტრანსპარენციის და, შესაბამისად, მონაწილეთა ქცევის ტრანსფორმაციის, ხოლო ამოცანა მაქსიმუმი შეიძლება, ნიშნავდეს ამ პროცესის აქტიურ ფასილიტაციას და მედიაციას.

ჰოლისტური **აფხაზეთმცოდნეობა** წარმოადგენს სამშვიდობო პროცესის სტრატეგიულ რესურსს. ფაქტობრივად, ჰოლისტური **აფხაზეთმცოდნეობა** შეიძლება, განვიხილოთ, როგორც სამშვიდობო პროცესის „ტვინი“.

აფხაზეთმცოდნეობის განვითარების სტრატეგიული ინიციატივები

აფხაზოლოგი თეიმურაზ გვანცელაძე წერს: „პროფესიონალ აფხაზოლოგთა ახალი კადრების ნაკლებობა: ენგურის გამოღმა არ გვყავს აფხაზური ენისმცოდნე არც ერთი ეთნოლოგი, ფოლკლორისტი, ლიტერატურათმცოდნე, კონფლიქტოლოგი, სინქრონული თარგმანის სპეციალისტი“ (Gvanceladze, 2015).

მნიშვნელოვანია, სახელმწიფო დონეზე არსებობდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შეძლებდა ამ პროცესის კორექციას და **ახალი თაობის აფსუოლოგების, აფხაზოლოგების და აფხაზეთმცოდნეების მომზადებას. შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შეიძლება გაჩნდეს ქართველოლოგიის ახალი სპეციალობა – აფხაზეთმცოდნეობა; ახალი სპეციალიზაცია – აფხაზთამცოდნეობა (აფხაზოლოგია) და ახალი ვიწრო სპეციალიზაცია – აფსუალოგია.**

დღის წესრიგში დგება საკითხი – მეცნიერების (ამ შემთხვევაში **აფხაზეთმცოდნეობის)** საერთაშორისო მართვა კონფლიქტისა და კრიზისის პირობებში. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია შესაბამისი საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება.

ჩვენ ვიმყოფებით არჩევანის წინაშე: ან აფხაზეთის კვლევის სპე-

ციალისტები დარჩებიან აფხაზეთის მრავალწახნაგოვანი კონფლიქტის ინტელექტუალური მომსახურების მთავარ ძალად, ან ჩვენ შევძლებთ პირადად მათი, ასევე მათი კვლევების ინტეგრაციას სამშვიდობო პროცესში. ჰოლისტური პრინციპების გამოყენება და **აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტის (ან ქსელის)** დაარსება წარმოადგენს ამ პრობლემათა რთული სისტემის ახლებურად დანახვისა და მართვის ინსტიტუციონალურ შესაძლებლობას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსისტეტის ბაზაზე არსებული სადოქტორო პროგრამების ანალიზის შედეგად, ჩვენ მივიღეთ საინტერესო მონაცემები. გაირკვა,რომ აფხაზეთის კონფლიქტს პირდაპირ და ირიბად (ერთდროულად) ეხება პირველი და მეორე კურსის **12 დოქტორანტი** (იურისტები და პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორანტები). სავარაუდოდ, მათი რაოდენობა მომავალ წელს კიდევ უფრო გაიზრდება. ბუნებრივია, რომ მათ შორის თანამშრომლობის ეფექტური სქემის შექმნამ შეიძლება, გააჩინოს ახალი შესაძლებლობები. *ნაშრომის ჩარჩოს ფარგლებში მიმდინარეობს ინფორმაციის მოპოვება, თუ რა ხდება სხვა უნივერსიტეტებში და საერთშორისო დონეზე, რათა შევქმნათ მონაცემთა ბაზა ამ მეცნიერების შესახებ.*

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გამოვიკვლიეთ ასევე უკვე დაცული დისერტაციები. **აფხაზეთს უშუალოდ ეხებოდა 80-დე სადისერტაციო ნაშრომი ქართულ ენაზე, 221 ნაშრომი რუსულ ენაზეა შესრულებული, ხოლო 21 – ინგლისურ ენაზე.** ყველა ნაშრომი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არაა დაცული, ამიტომ კვლევის პროცესი გრძელდება. გამოიკვეთა, რომ სადისერტაციო ნაშრომებში დომინირებს: ეკონომიკის, დევნილთა ჯანდაცვის, ისტორიის, ფილოლოგიის, კულტურათმცოდნეობის საკითხები. პილოტურმა კვლევამ გვაჩვენა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მიმართულებით კვლევები საკმაოდ მცირეა და, ძირითადად, ისტორიის კვლევებზეა საუბარი. აქ შეინიშნება ნაკლებობა უახლოესი ისტორიის კვლევების თვალსაზრისით. ასევე მცირეა ნაშრომები პოლიტიკური მეცნიერებების კუთხით. საბოლოო სურათის დადგენა მოგვცემს შესაძლებლობას, შევიმუშაოთ რეკომენდაციები და მოვახდინოთ ინტელექტუალური სამეცნიერო პროდუქციის წარმოების პროცესის კორექცია.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ დოქტორანტების ნაწილი ცდილობს დაიცვას დისერტაცია, რათა მიიღოს დოქტორის სტატუსი, ხოლო მეორე ნაწილს აინტერესებს, პირველ რიგში, სამეცნიერო პროდუქტი. მეტად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ეს ფაქტორი იქედან გამომდინარე, რომ ის სერიოზულ **უარყოფით** ზეგავლენას ახდენს გარკვეული მცდარი იდეების და ლექსიკის ტირაჟირებაზე. ამიტომ ამ პროცესზე დაკვირვება შეამცირებდა ასეთი ტიპის ინტელექტუალური პროდუქციის წარმოებას. ეს პროცესი უნდა იყოს არა რევიზიის და ცენზურის სახით, არამედ ეყრდნობოდეს პროფესიულ სამეცნიერო კრიტიკას და სტრატეგიულ დაგეგმარებას.

სამეცნიერო ნაშრომების გარდა, ასევე მიმდინარეობს საერთაშორ-

ისო დონეზე ამ მიმართულებით გამოცემული ლიტერატურის აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა.

ამ თვალსაზრისით, 2019 წლის იანვრიდან დაიწყო თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, უნივერსიტეტებთან და რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდთან.

მნიშვნელოვანი პროდუქტი, რომელიც გააერთიანებს აფხაზიოლოგებს საერთაშორისო დონეზე, შეიძლება იყოს საერთაშორისო ჟურნალი **„აფხაზეთმცოდნობა“.** ამ საკითხთან დაკავშირებით გამოცემული ნებისმიერი ნაშრომი იქნება ინტეგრირებული ერთიან საინფორმაციო ბაზაში.

მეტად მნიშვნელოვანია, საერთაშორისო დონეზე მოინახოს შესაბამისი პარტნიორი უნივერსიტეტი, რომელიც მოახერხებდა ამ პროექტის ეფექტურ ფასილიტაციას, რაც წარმოადგენს მეტად საპასუხისგებლო ამოცანას. ამ თვალსაზრისით, რაციონალური იქნება ევროკავშირის რესურსების, კონკრეტულად, **„ერაზმუს +“,** შესაძლებლობის გამოყენება; ამ სფეროში მომუშავე უნივერსიტეტების ხელშეწყობით, **აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტის შექმნა.**

ეს ქმედებები აუცილებელია, რომ ბოლო მოეღოს უიმედობას, დაიმსხვრეს ის სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, „ყველაფერი წყდება გლობალურ დონეზე“. გლობალურ დონეზე გადაწყვეტილებებს ადამიანები ღებულობენ. ამიტომ აუცილებელია ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე კომპეტენტური ადამიანების ზეგავლენა, არა სეპარატული ლობირების წესით, არამედ ადეკვატური ლეგიტიმური გადაწყვეტილებების მომზადებისა და მათი წარდგენის მეშვეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ განსახილველად მიწოდებული დოკუმენტები უნდა აკმაყოფილებდნენ მინიმუმ ორ კრიტერიუმს – სამეცნიერო ექსპერტიზასა და განსხვავებულ აზრზე მყოფ მხარეთა მაქსიმალურ ჩართულობას პროცესში. ეს არ არის მარტივად მისაღწევი და გულისხმობს ახალი თაობის მენეჯმენტს, ასევე სამშვიდობო პროცესის მართვის გადაყვანას ინოვაციურ ტექნოლოგიებზე და მის ძირეულ დემოკრატიზაციას. პარტისიპატიული დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, რაც უფრო მეტი ინტერესთა ჯგუფი იქნება ჩართული მოლაპარაკებებში, მით მეტი ეფექტი იქნება მოსალოდნელი. რა თქმა უნდა, ეს ჩართულობა არ გულისხმობს სპონტანურ და ანარქიულ ხასიათს. მონაწილეთა დივერსიფიცირებამ არ უნდა შექმნას საფრთხეები არსებული პროცესისათვის, მაგრამ ბოლო უნდა მოეღოს მონოპოლიზაციის პრინციპს, როდესაც თვით სამშვიდობო პროცესზე დაწესებულია მონოპოლია.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Chabashvili M. (1989), Uckho Sityvata Leqsikoni. / Collected and Introduced by Mikheil Chabashvili. 3th Edition. Tbilisi*: Ganatleba*, 1989 [MFN: 2749].
2. Gitoledia T. (2013), Afkhazologia Tbilisis Samecniero Centrebshi, 26.06.2013 (https://abkhazology.wordpress.com).

3. Gvancelaze T. (2015), Afkhazologiis Ziritadi Problemebi Tanamedrove Diskursshi, 22. 11.2015 (Https://Abkhazology.wordpress.com).
4. Marr N. (1918). O Kavkazckom Universitete v Tiflice. *Akademiya Nauk,* Moscow.
5. Marr N.Ya. (1935). Abkhazovedenie i Abkhazi (K voprocu o proizkhozhdenii etnogonii Vostochnoy Evropi). Selected Works, t. V. Moscow-Leningrad, GAIMK.
6. Metreveli R. Msoflio Mecnieri Qartuli Sakhlidan, *Gamomcemloba "Qartuli Universiteti"*, Tbilisi 2016.
7. Samoqalaqo Enciklopediuri Leqsikoni (Http://Www.Nplg.Gov.Ge/Gwdict/Index.Php?A=Term&D=5&T=14300).
8. Socialur da Politikur Terminta Leqsikoni-Cnobari / Editorial Board: Eduard Kodua and other. Logospresi,Tbilisi, 2004, ISBN 99928-926-9-2.
9. Tarba N. (1990). Edinenie, №5 (November), № 7 (December).

Alexsander Rusetsky

THE ABKHAZ CONFLICT IN THE CONTEXT OF ABKHAZ STUDIES (ABKHAZIAN STUDIES)

Presented by Political Conflicts and Peace Studies Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The article presents the results of research carried out within the framework of the Doctoral Program of Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (Grant Agreement NN-18-1147) and Caucasus International University. In the framework of Kartvelological Studies, the Foundation supported the dissertation research "Interdisciplinary comparative analysis of the complex system of the conflict of Abkhazian conflict via innovative 4D-RAV-17 method". This method is a combination of holistic (non-reductionist) scientific diagnostics, analysis, synthesis and evaluation techniques.

The article for the first time discusses the Abkhazian conflict as the subject of Abkhazian Studies. The paper first time distinguishes between three hierarchical levels of research on Abkhazia:

1. Abkhazian Studies;
2. Abkhaz Studies;
3. Apsua Studies.

Apsua Studies are considered as a subsystem of Abkhaz Studies, and Abkhaz Studies, as a subsystem Abkhazian Studies.

Apsua is regarded as a subsystem of Abkhaz, that is, as an ethnos that fills the demos (poly ethnos).

One of the reasons for causing the Abkhazian conflict and failure to find a lasting solution is the reductionist ethnocentrism that drives Abkhazian science to Apsua Studies. This leads to a deformation of the perception of conflict, which makes it difficult to make a positive transformation of the conflict.

The article presents problems between specialists in Abkhazian Studies and opportunities for their cooperation, such as the idea of establishing an International Center for Abkhazian Studies and publishing a relevant international journal ("Abkhazian Studies").

სარჩევი

მათემატიკური მოდელირება
Mathematical Modeling

Temur Chilachava
About the Exact Solution of the Rotating Gravitating Gas Ellipsoid of Jacobi 5
თემურ ჩილაჩავა
იაკობის გრავიტირებადი მბრუნავი გაზური ელიფსოიდის ზუსტი ამონახსნის შესახებ 11
Temur Chilachava, George Pochkhua, Nestan Kekelia, Zurab Gegechkori
Research of the Dynamic Systems Describing Mathematical Models of Resolution of Conflict by Means of Economic Cooperation at Bilateral or Unilateral Counteraction 12
თემურ ჩილაჩავა, გიორგი ფოჩხუა, ნესტან კეკელია, ზურაბ გეგეჭკორი
ორმხრივ ან ცალმხრივ წინააღმდეგობის შემთხვევაში ეკონომიკური თანამშრომლობით კონფლიქტის გადაწყვეტის მათემატიკური მოდელების აღმწერი დინამიური სისტემების კვლევა 23
Temur Chilachava, George Pochkhua,
Research of the Dynamic Systems Describing Mathematical Models of Resolution of the Conflicts by Means of Economic Cooperation..... 24
თემურ ჩილაჩავა, გიორგი ფოჩხუა
ეკონომიკური თანამშრომლობით კონფლიქტების გადაწყვეტის მათემატიკური მოდელების აღმწერი დინამიური სისტემების კვლევა 37

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
Natural Science

რევაზ თოლორდავა
სამცხე-ჯავახეთის კურორტების კარტოგრაფირების თავისებურებანი 38
Revaz Tolordava
Features of Samtskhe-Javakheti Resorts..... 50

რელიგიათმცოდნეობა
Religion Studies

ქეთევან პავლიაშვილი
კრეტის საეკლესიო კრება და აფხაზეთის ავტოკეფალიის საკითხი.... 51

Ketevan Pavliashvili
Church Meeting of Crete and the Issue of the Autocephaly of Abkhazia..... 57
თამარ ფხალაძე
ჟურნალი „ივერია“ არქიმანდრიტ გაიოზის (რექტორის) მოღვაწეობის შესახებ.....58
Tamar Pkhaladze
Journal “Iveria” on the Activity of Archimandrite Gaioz (the Rector)..... 64
ავთანდილ წერეთელი
რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიათა პირველობისათვის ბრძოლის საკითხი მსოფლიო საეკლესიო კრებებზე.....66
Avtandil Tsereteli
The issue of the Struggle for Primacy of Rome and Constantinople Churches at the Ecumenical Councils..... 72
ანნა არველაძე
რელიგია და მუსიკა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა.....73
Ana Arveladze
Religion and Music as a Form of Public Consciousness 77
ელენე გეგეშიძე
ადამის ენა.....78
Elene Gegeshidze
Lingua Adamica..... 84

ენათმეცნიერება
Linguistics

მანანა შელია, მაია მარღანია
რუსული ნასესხობანი ინგლისურ ლექსიკაში.....85
Manana Shelia, Maia Marghania
Russian Borrowings in English Vocabulary..... 89

ლიტერატურათმცოდნეობა
Literature Studies

ნანა აბულაძე
აკვანში დანიშვნა მეგრულ პოეტურ ფოლკლორში.....90
Nana Abuladze
Engagement in the Megrelian Poetic Folklore..... 97
მაია ქარდავა
რომანტიზმის ეპოქის ზღაპრისა და ნოველის სიუჟეტური სტრუქტურა.....98
Maia Qardava
The Plot of the Romantic-Era Fairy Tales and Novels 102

ლალი ჭითანავა
ჯეინ ოსტინის ფენომენი 103
Lali Chitanava
Jane Austen's Phenomenon 108
მაია ქარდავა
ლიტერატურული პერსონაჟის გარეგნობა, როგორც ღირებულება 109
Maia Qardava
Literary Character's Appearance as a Value 113

ისტორია
History

გურამ კუტალია
ეროვნული სულის შემძვრელი სტატიები და ინფორმაციები XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართულ პერიოდიკაში (დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის, რელიგიის და პედაგოგიკის საკითხებზე დაყრდნობით) 114
Guram Kutalia
National Sensible Articles and Information in Georgian Publications of The 60s of The XIX Century (On the Basis of the Issues on Western Europe History, Religion and Pedagogics of the Medieval Centuries) 123
ქეთევან მანია
„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" როგორც ეროვნული მეხსიერების ადგილი (ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით) 124
Ketevan Mania
"Society for the Spreading of Literacy among Georgians" as a Site of National Memory (By Printing Media Representation) 132
გურამ კუტალია
ოსმალების მოძალება ევროპაში და გერმანული რეფორმაციის ცნობილი მოღვაწეები ანტიოსმალურ კოალიციაში ქართველების შესაძლო მონაწილეობის შესახებ 134
Guram Kutalia
Ottoman's Attacks in Europe and Famous Figures of German Reformation on Possible Participation of Georgians in Anti-Ottoman Coalition 141

ეთნოლოგია
Ethnology

სალომე ბახია-ოქრუაშვილი
სამეგრელოს ტრადიციული კულტურა თედო სახოკიას შრომებში 142
Salome Bakhia-Oqruashvili
Traditional Culture of Samegrelo in Tedo Sakhokia's Works 154

ნინო მინდაძე
თედო სახოკია ქართული ხალხური მედიცინის შესახებ.....155
Nino Mindadze
Tedo Sakhokia about Georgian Folk Medicine..... 169

პოლიტიკის მეცნიერებები
Political Sciences

ალექსანდრე რუსეცკი
აფხაზეთის კონფლიქტი აფხაზეთის კვლევების
(აფხაზეთმცოდნეობის) კონტექსტში 170
Alexsander Rusetsky
The Abkhaz Conflict in the Context of Abkhaz Studies (Abkhazian Studies) 190
გაბედავა მერი
პოლიტიკური თანამშრომლობა და კომპრომისები
ქართულ-აფხაზურ ურთერთობებში 1919-1921 წწ. 192
Meri Gabedava
Political Cooperation and Compromise in Georgian-Abkhazian
Relations, 1919-1921 199
ბელა კოპალიანი
პატარა ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში
სინგაპურის მაგალითზე 201
Bela Kopaliani
The Small States in the International System on the Example of Singapore... 205

ეკონომიკა
Economics

ქეთევან მაღლაკელიძე
ინტერვალური შეფასებები საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის
ზოგიერთი სფეროს მარკეტინგულ კვლევაში 207
Ketevan Maghlakelidze
Interval Estimates in the Marketing Investigation of Some Spheres of
Consumers' Market of Georgia..... 211
ჯანდრი ზარანდია
ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან და საქართველოს
მცირე მეწარმოების განვითარება 212
Jandri Zarandia
Economic Cooperation with the European Union and Development of Small
Business in Georgia 220

დევი შონია
ცოდნის როლი თანამედროვე ქვეყნის ეკონომიკაში.....221
Devi Shonia
The Role of Knowledge in the Economy of a Modern Country..... 225
ნუგზარ თოდუა, ქეთევან მაღლაკელიძე
ანოვა საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის ზოგიერთი სფეროს მარკეტინგულ კვლევაში.....226
Nugzar Todua, Ketevan Maghlakelidze
ANOVA in the Marketing Investigation of Some Spheres of Consumers' Market of Georgia..... 231

პედაგოგიკა
Pedagogics

ჯემალ ჯინჯიხაძე
მეცნიერული შემეცნება, როგორც პედაგოგიკური კვლევის ობიექტი.....232
Jemal Jinjikhadze
Scientific Cognition as an Object of Pedagogic Research..... 242
გულნაზ ხუხუა
თავისუფლება თუ ბუნებრივობა აღზრდაში.....243
Gulnaz Khukhua
Freedom or Naturalness in Upbringing 253
ოთარ ვახანია
სტუდენტური სპორტი და სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის პრობლემები.....254
Otar Vakhania
Student Sport and Students' Physical Education Problems 259
ლეილა შეროზია
პიროვნებაზე ორიენტირებული აღზრდა 260
Leila Sherozia
Person-Oriented Education..... 263
ზვიად მიქაძე
ფრენბურთის თამაშის საშუალებით პიროვნულ და სოციალურ ფასეულობათა ჩამოყალიბება.....264
Zviad Mikadze
Developing Personal and Social Values Through Playing Volleyball..... 267

პედაგოგიკის ისტორია
History Pedagogy

იმერი ბასილაძე, ნინო გელენიძე
დავით მაჭავარიანის საგანმანათლებლო და სამისიონერო მოღვაწეობა აფხაზეთში 268
Imeri Basiladze, Nino Gelenidze
David Machavariani's Educational and Missionary Work in Abkhazia 273
გულნაზ ხუხუა
ძველი ქართული კულტურულ-საგანამანათლებლო ცენტრები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ 274
Gulnaz Khukhua
Ancient Georgian Cultural and Educational Centers in Georgia and Abroad . 280

სწავლების მეთოდიკა
Teaching Methodology

ბელა სარია
რატომ გახდა აუცილებელი იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობასთან მიბრუნება? 282
Bela Saria
Why did it Become Necessary Turning Back to Iacob Gogebashvili's Heritage? 286
ლევან ჯინჯიხაძე
ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიური პრინციპები და კლასიფიკაცია 288
Levan Jinjikhadze
Methodological Principles and Classification of Georgian Language and Literature Teaching 296
Rusudan Gogokhia
Approaches to Teaching Phrasal Verbs 297
რუსუდან გოგოხია
ფრაზული ზმნების სწავლების მიდგომები 302
თამარ დოგრაშვილი, გიორგი ბერძულიშვილი, ირინე გოგიბერიძე
ფინანსური განათლების კომპონენტების შემცველი ამოცანები მათემატიკის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში და მათი სწავლების მეთოდიკური ასპექტები 303
Tamar Dograshvili, Giorgi Berdzulishvili, Irine Gogiberidze
Tasks Containing Components of Financial Education in Math Lessons in Primary Classes and their Teaching Methodological Aspects 312